

հանձնադր լուծարում

ՉՅԻՄՅՈՒՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ

ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԿԱՆՈՒՄՈՒԹՅԱՆ ԹԻՎՈՒ

Նախաձեռնված և ընդունված լուծարման օրհանգրվանի
ընդունված և ընդունված լուծարման

Նախաձեռնված և ընդունված լուծարման օրհանգրվանի
ընդունված և ընդունված լուծարման

ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԿԱՆՈՒՄՈՒԹՅԱՆ ԹԻՎՈՒ

UDC(უაკ)347.44(4)

ც-62

რაინჰარდ ციმერმანი

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ტექსტობრივი შრეები

ნინო ქათამაძისა და გიორგი უსტიაშვილის თარგმანი

დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ქართული,
გერმანული და შედარებითი კერძო სამართლის ცენტრი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

© რაინჰარდ ციმერმანი, 2019

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2019

Reinhard Zimmermann

The Textual Layers of European Contract Law

Translated by Nino Katamadze and Giorgi Ustiashvili

Edited by Dimitry Gegenava

Center for Georgian, German and Comparative Private Law
of Sulkhvan-Saba Orbeliani University

Sulkhvan-Saba Orbeliani University Press, 2019

© Reinhard Zimmermann, 2019

© Sulkhvan-Saba Orbeliani University, 2019

ISBN 978-9941-8-1449-5

ავტორის წინათქმა

საქართველო ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოა, ხოლო 1999 წლიდან ევროკავშირთან დაკავშირებულია ე.წ. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეჟიმით და 2014 წლიდან არის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ მონაწილე. ამდენად, განუზომლად დიდია ქართველი იურისტების ინტერესი ევროკავშირის სამართლის მიმართ. მოხარული ვარ, რომ წლების განმავლობაში ბევრი ქართველი იურისტი ეწვია მაქს-პლანკის შედარებითიდა საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს (ჰამბურგი) ევროპის კერძო სამართლის მიმართულებით კვლევების განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი აფუძნებს „ქართული, გერმანული და შედარებითი კერძო სამართლის ცენტრს“, რომლის უპირველესი მიზანია ქართული კერძო სამართლის ევროპეიზაციის პროცესის ხელშეწყობა. მოხარული ვარ, რომ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ტექსტობრივი შრეების შესახებ ჩემი სტატიის ქართული თარგმანის გამოქვეყნება აღნიშნული ცენტრის გახსნას დაემთხვა და მადლობას ვუხდის ქალბატონ ნინო ქათამაძეს, რომელმაც ორგანიზება გაუწია თარგმანთან დაკავშირებულ ყველა პროცესს.

სტატია ეძღვნება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის განვითარებას. აღნიშნული დაკავშირებულია სამართლის იმ სფეროსთან, რომელიც, სხვა დარგებთან შედარებით, ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი საერთაშორისო ბუნებით. ამ კონტექსტში სავსებით მართებულად შენიშნავდა რუდოლფ ფონ იერინგი, რომ მოვაჭრე „არის კულტურასთან ბრძოლაში ჩემპიონი. სასაქონლო სიკეთეების გაცვლის გარდა, ის ავრცელებდა არამატერიალურ ღირებულებებს და ხსნიდა მშვიდობის საზღვრებს“. ვაჭრობა იყო და მუდამ იქნება საერთაშორისო. ამას ისიც ემატება, რომ თანამედროვე ევროპული სახელშეკრულებო სამართალი ეფუძნება ერთნაირ ისტორიულ და ფილოსოფიურ ფესვებს და როგორც წესი, მისი განვითარების დოქტრინის ამოსავალი პრინციპი გონივრული კონტრაჰენტის ჰიპოთეტური სურვილია. ძირითადი

კონცეფციებისა და შეფასებების კრებული ნაციონალიზმის ეპოქაში წარმოქმნილი განვითარებებითაც არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. ყოველთვის არსებობდა იდეებისა და რეგულაციების ტრანსნაციონალური გაცვლა. დღეს, ევროპული გაერთიანების ნიშნის ქვეშ არსებული გასაღების ბაზარი ქმნის კერძო სამართლის უნიფიკაციის ყველაზე მყარ საფუძველს და ნათელია, რომ მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სახელშეკრულებო სამართალი. სწორედ ამ ასპექტს უკავშირდებოდა ის, რომ საერთო ევროპული რეგულატორული ტექსტის შემუშავების მცდელობის მოტივატორად სწორედ ზოგადი სახელშეკრულებო სამართალი მოგვევლინა: „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების“ სახით. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამ საკვანძო ტექსტს ეფუძნება და მიმოიხილავს საფუძვლებს, რომლებსაც ეს პრინციპები ეფუძნება, მის პარალელურ და შემდგომში განხორციელებულ პროექტებს, გვაჩვენებს *acquis communautaire*-ის განვითარების დინამიკას და იმ თანმდევ პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც თან ერთვოდა ერთიანი ევროპული ნასყიდობის სამართლის პროექტის შემუშავებას. მას შემდეგ, რაც ევროპულმა კომისიამ 2015 წელს გამოიხმო ეს პროექტი, მეცნიერების ხელშია გააკეთოს ყველაფერი, რათა დასახოს და მოგვცეს სამომავლო განვითარების საკვანძო მიმართულებები. ეს არის სწორედ ის, რა მიზანსაც ემსახურება „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის კომენტარი,“ რომელზეც ნაშრომის ბოლოს იქნება ყურადღება გამახვილებული.

წარმატებებს ვუსურვებ ქართული, გერმანული და შედარებითი კერძო სამართლის ცენტრს. ვიმედოვნებ, რომ მისი საქმიანობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული სამართლის ევროპული სულის განვითარების საქმეში.

რაინჰარდ ციმერმანი

პროფესორი, მაქს პლანკის შედარებითი და
საერთაშორისო კერძო სამართლის
ინსტიტუტის დირექტორი

მთარბმნელაზისბან

ევროპული სამართლის გავლენა ქართულ სამართალზე ძალზედ დიდია, ისტორიულად ქართული სამართლი ევროპული სამართლის ოჯახს განეკუთვნებოდა, ტრადიციულად ქართული სამართლის ინსტიტუტები და მართლმსაჯულების სისტემის პრინციპები სრულად ევროპულ ღირებულებებს შეესაბამებოდა.

საქართველოს მჭიდრო სავაჭრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდა სხვადასხვა სახელმწიფოსთან, მათ შორის, ევროპულ სახელმწიფოებთანაც. საქართველოში კარგად იყო განვითარებული სავაჭრო ურთიერთობები და შესაბამისად, არსებობდა სავაჭრო ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები. რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკური პროცესების შედეგად, 1801 წელს საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და მაშინდელი რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ევროპული სახელმწიფოებს არ შეუწყვეტიათ საქართველოსთან ურთიერთობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის და საქართველოს ურთიერთობა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწეობდნენ გერმანული კომპანიები, მაგ. „სიმენსი“, „ჰალსკეს“, სამთამადნო სააქციო საზოგადოებები, როგორცაა: სს „გელზენკირხენისა“, სს „ზინგერი“, „გერმანიის კაიზერი“ და ა.შ. აღნიშნულმა საწარმოებმა დადებითი როლი ითამაშეს საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე, მოღვაწეობდნენ სხვა ევროპული კომპანიებიც, მაგ., საქართველოში განხორციელებული იყო შვეიცარული და ფრანგული ინვესტიციები.

გერმანიის და საქართველოს ურთიერთობა, ასევე, აღსანიშნავია, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, 1918-1921 წლებში, ამ პერიოდში გერმანია და საქართველო მჭიდროდ

თანამშრომლობდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი კუთხით. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებებთან და საკუთრებასთან დაკავშირებით, თვალნათლივ იგრძნობა ევროპული სამართლის გავლენა, განსაკუთრებით კი გერმანული სამართლის გავლენა. საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებით, ასევე, აღსანიშნავია ფრიდრიხ ვერნერ გრაფ ფონ დერ შულენბურგის დამსახურება ქართული სახელმწიფოს წინაშე. 1918 წელს იგი საქართველოში გერმანიის დელაგაციის ოფიციალური წევრი იყო და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ-გერმანული შეთანხმების მომზადებაში. მოგვიანებით შულენბურგი, ასევე, გახლდათ გერმანიის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა, 1921 წელს საქართველოში საბჭოთა წითელი არმია შემოიჭრა და ქვეყანა დაიპყრო. აღნიშნულმა შეაჩერა საქართველოს ევროპული ინტეგრაცია.

1991 წელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ეროვნული კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობა, ქართული კანონმდებლობის შექმნა დაიწყო კერძო სამართლის რეცეფციით, აუცილებელი იყო, შექმნილიყო თანამედროვე საკორპორაციო და სამოქალაქო კანონმდებლობა. მართალია, დიდი კოდიფიკაციების ეპოქაში საქართველო ისტორიულმა ბედუკუღმართობამ დასავლურ სამყაროსთან ინტენსიური კომუნიკაციის საშუალებას მოწყვიტა, თუმცა ქართველმა ერმა მაინც მოახერხა აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევა და ჩაება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი რეგულაციების შემუშავების პროცესში. გერმანულ კოლეგებთან თანამშრომლობით 1994 წელს შეიქმნა „მენარმეთა შესახებ“ კანონი, ხოლო 1997 წელს – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თანამედროვე ქართული სამენარმეთო კანონმდებლობისა და სამოქალაქო კოდექსის უდიდეს მონაპოვრად საბჭოთა სამართლის პრინციპებისგან დისტანცირება და ახალი ფასეულობების განმტკიცებით თანამედროვე ევროპულ სამართალზე (გერმანულ და ნაწილობრივ ფრანგულ) ორიენტირება სახელდება.

ისტორიული კატაკლიზმების მიუხედავად, ქართული სამართლის დასავლურ ღირებულებებთან დაახლოების მიზეზები ისევ ისტორიულ მემკვიდრეობასა და სამართლებრივი კულტურის ევროპულ ფესვებში უნდა ვეძებოთ, რომელიც მუდმივად ცდილობდა რომის სამართლის რეცეფციის პროცესის ფერხულში ჩაზმას. ბიზანტიური სამართლის გავლენა საცნობია ძველი ქართული სამართლის ძეგლებზე, როგორცაა: რუის-ურბნისის ძეგლისწერა, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული და ა.შ.

ისტორიულად, ევროპული და გერმანული სამართლის გავლენა საქართველოში, ასევე, ნათლად შეინიშნებოდა სავაჭრო და ეკონომიკურ პროცესების სამართლებრივ მოწესრიგებაზე. მაგალითად, მიუხედავად საბჭოთა წყობილებისა, გერმანული სამართლის გავლენით საქართველოში 1925 წელს პროფესორ სერგი ჯაფარიძის ავტორობით გამოიცა წიგნი – „სავაჭრო სამართლი“. წიგნში განხილულია გერმანული და ფრანგული სავაჭრო სამართლის დებულებები, ახსნილია სავაჭრო გარიგებების არსი და სავაჭრო ორგანიზაციებთან (კორპორაციებთან) დაკავშირებული საკიხები. გარდა აღნიშნულისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ სერგი ჯაფარიძის მიერ, ასევე, იკითხებოდა სავაჭრო სამართლის კურსი. ამავე პერიოდში გერმანული სამართლის გავლენით საქართველოში მომზადდა სავაჭრო კოდექსის პროექტიც. სამეცნიერო-იურიდიულ ლიტერატურაში, ქართული მეცნიერ-იურისტების შორის, ევროპული, განსაკუთრებით კი გერმანული სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე მიმდინარეობდა სამეცნიერო დისკუსია.

1992 წლიდან, ევროკავშირმა აღიარა რა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, დაიწყო მასთან თანამშრომლობა. ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, ეკონომიკური რეფორმებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების მხრივ. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გერმანული სამოქალაქო სჯულდების პრინციპების რეცეფციამ განაპირობა ქართულ სამართლებრივ სისტემაში

რომის სამართლის სულისკვეთების ფენიქსისებრი განახლება. ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდა 2003 წლიდან, ამ ურთიერთობების სრულიად ახალი პაკეტი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირის შორის. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმაა და ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, ასევე, ეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტებს. ამდენად, ქვეყნის მთავარი გამოწვევა ევროკავშირისა და მის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოებაა, რომლის ეფექტური განხორციელება შეუძლებელია ევროპული კერძო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და არსის წვდომის გარეშე. ამ პროცესში განუზომლად დიდია იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა როლი.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წლების განმავლობაში მხარს უჭერს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საქმეში. ამის ნათელი დადასტურებაა იმ სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდიებისა და ფონდების სიმრავლე, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ სამართლებრივ სივრცეში და ხელს უწყობს ადამიანური რესურსის განვითარებას. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მაქს პლანკის საერთაშორისო და შედარებითი კერძო სამართლის ინსტიტუტი, რომელმაც ბევრ ქართველ მკვლევარს მისცა საერთაშორისო და ევროპული კერძო სამართლის მეცნიერული კვლევისა და კვლევის შედეგების ქართულ სამართლებრივ სივრცეში ინკორპორირების საშუალება. წინამდებარე სტატია აღნიშნული ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის და კერძო სამართლის გამორჩეული მკვლევრის, პროფესორ რაინჰარდ ციმერმანის შრომაა, რომელიც საინტერესოდ აღწერს და გადმოსცემს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციის პარადიგმებს, პროცესში მონაწილე პირებს, ინსტიტუტებს, თანმდევ

პოლიტიკურ და ისტორიულ მოვლენებს, მიღწეულ და მისაღწევ შედეგებს.

უცხოური სამეცნიერო ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებისათვის, მთარგმნელობითი საქმიანობა ხელს უწყობს სწორი სასამართლო და იურიდიული პრაქტიკის ჩამოყალიბებას, იგი, ასევე, ხელს უწყობს ქართული იურიდიული მეცნიერების უცხოურ მეცნიერებასთან ინტეგრაციას.

პროფესორ რაინჰარდ ციმერმანის ნაშრომის ქართულ ენაზე თარგმნა, უცხოური იურიდიული ტერმინოლოგიის ქართულ თარგმნა, რედაქტირება, ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა. აღნიშნული ტერმინოლოგიის ქართული თარგმანი მთარგმნელებისა და რედაქტორის ხედვის შედეგია. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული მოსაზრებები, ასეთის არსებობის შემთხვევებში სიამოვნებით მოისმენენ განსხვავებულ აზრებს.

ნაშრომი განკუთვნილია უპირატესად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა პირთათვის.

ნინო ქათამაძე, MA, LL.M

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი,
ქართული, გერმანული და შედარებითი კერძო
სამართლის ცენტრის უფროსი

გიორგი უსტიაშვილი, MA, LL.M

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი,
ქართული, გერმანული და შედარებითი კერძო
სამართლის ცენტრის მკვლევარი

ქართული გამოცემისათვის

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სახელით მსურს გულითადი მადლობა გადავუხადო მაქს-პლანკის საერთაშორისო და შედარებითი კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ რაინჰარდ ციმერმანს, რომელმაც მისი ესსეს – „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ტექსტობრივი შრეების“, ქართულ ენაზე თარგმანზე უფლება სრულიად უანგაროდ დაგვითმო. საქართველოში, ზოგადად და განსაკუთრებით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში, აღნიშნული ნაშრომის ქართულ ენაზე გამოცემა უდიდესი მონაპოვარია.

არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ აკადემიური პერსონალისთვის და ზოგადად, სამართლის სფეროთი დაინტერესებული ან მასთან შემხებლობაში მყოფი პირებისათვის ზემოაღნიშნული სტატია იძლევა დარგობრივი კომპეტენციის მნიშვნელოვნად განვითარების საშუალებას. იქიდან გამომდინარე, რომ სხვა ენებისგან განსხვავებით, ქართულ ენაზე სამართლებრივი ლიტერატურა არცთუ მდიდარია, დარწმუნებული ვარ, რომ თარგმნილი ნაშრომი დიდ მონონებას დაიმსახურებს და სწრაფად იქნება ათვისებული. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღნიშნული სტატია ევროპული კერძო სამართლის სფეროში ერთ-ერთი გამორჩეული პუბლიკაცია, რომელიც ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, ასევე, მთარგმნელებს – გიორგი უსტიაშვილსა და ნინო ქათამაძეს, განეული შრომისთვის. ისინი, როგორც სულხან-საბა ორბელიანის აფილირებული პროფესორები ქართული, გერმანული და საერთაშორისო შედარებითი კერძო სამართლის ცენტრის ფარგლებში, აქტიურად მუშაობენ თანამედროვე კერძო სამართლის აქტუალურ საკითხებზე. ამავე კონტექსტში მოვიაზრებთ ქართულ ენაზე სასწავლო და პრაქტიკული სახის ლიტერატურის შექმნას. ამდენად, წარმოდგენილი

ნაშრომი ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ დასახული მიზნების მიღწევის საძირკვლად.

მარიო შიუტცე

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დეკანი

სარჩევი

I. ერნსტ რაბელი და ჰააგის კონვენცია	3
II. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქმონ- ლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“.....	6
III. სხვა საერთაშორისო კონვენციები და კონვენციების პროექ- ტები.....	10
IV. საერთაშორისო და კომერციული ხელშეკრულებების პრინ- ციპები	13
V. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები	17
VI. ACQUIS COMMUNAUTAIRE და ACQUIS-ის პრინციპები	22
VII. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, საერ- თო ჩარჩო წესებზე მითითება და CONTRACTUELS COMMUNS- ის პრინციპები.....	27
VIII. პოლიტიკური პროცესი.....	32
IX. კვლევის შესაძლებლობა და საერთო ევროპული ნასყი- დობის სამართლის შეთანხმება	36
X. კოლაფსი.....	40
XI. პროცესის პრობლემური მხარეები	44
XII. სინთეზის ძიებაში: კომენტარები ევროპის სახელშეკრუ- ლებო სამართალზე.....	51

ევროპული სახელმეკრულებო სამართლის ტექსტობრივი შრეები

რაინჰარდ ციმერმანი[†]

ერთ დღესაც, თუ ევროპული სახელმეკრულებო სამართლის უნიფიკაციის ისტორია დაინერება, ნაშრომის პირველი თავი, უდავოდ, დაეთმო 1980-2015 წლებს შორის პერიოდს. 1980 იყო წელი, როდესაც გაიმართა ევროპული (ეკონომიკური) გაერთიანების ნევი ქვეყნების წარმომადგენელი იურისტების პირველი შეხვედრა ბრიუსელში, ევროპული სახელმეკრულებო სამართლის კომისიის დაფუძნების თაობაზე.¹ 2015 წლის სამუშაო პროგრამით ევროპულმა კომისიამ, რომელსაც 2014 წლის ნოემბრიდან ჟანკლოდ იუნკერი ხელმძღვანელობდა, განაცხადა საკუთარი განზრახვა, უკან გამოეხმო ევროპული ნასყიდობის სამართლის რეგულაციების თაობაზე წინადადება და მასთან ერთად კი ზოგადი სახელმეკრულებო სამართლის კოდიფიკაციის დიდი ნაწილის პროექტიც, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა.² უკანასკნელი განცხადება ევროპული სახელმეკრულებო სამართლის კომისიის მიერ ინიცირებული მთელი რიგი აქტივობების ლოგიკური შეჯამება იყო, რომლის ძირითად დანიშნულებად მოდელური წესების შემუშავება, „აღდგენა“³ და ევროპული სახელმეკრულებო სამართლის კოდიფიკაცია განისაზღვრა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, გააანალიზოს აღნიშნული

† მაქს-პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, ჰამბურგი. Reinhard Zimmermann, *The Textual Layers of European Contract Law*, in: Anton Fagan/Helen Scott (Hg.), *Private Law in a Changing World*, Jura 2019 (= *Acta Juridica* 2019) è *Das Buch erscheint als eigenständiges Buch und als Ausgabe 2019 der Zeitschrift „Acta Juridica“*.

¹ O Lando & H Beale, *Principles of European Contract Law*, Part I (1995) ix.

² European Commission 'Commission Work Programme 2015 – A New Start', COM(2014) 910 final.

³ On which notion, see R Michaels 'Restatements' in J Basedow, KJ Hopt & R Zimmermann (eds) *The Max Planck Encyclopedia of European Private Law (MaxEuP)* (2012) 1464-1468..

აქტივობების ფარგლებში განვლილი გზა⁴. რამდენიმე წლის წინ ჩემი სამხრეთ აფრიკაში ვიზიტის ფარგლებში თვალში მომხვდა განსაკუთრებით დიდი დაინტერესება ევროპის მასშტაბით სახელშეკრულებო სამართლის განვითარების პროცესის მიმართ და სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარმოდგენილ „ტექსტობრივ შრეებთან“ დაკავშირებით ერთგვარი გაოცება⁵. ესე ეძღვნება ჩემს ძველ მეგობარსა და კოლეგას – დანი ვისერს, რომელთან ერთად მუშაობის პერიოდში პიტერმარიცბურგიდან კეიპ თაუნის, რეგენსბურგისა და ჰამბურგის ჩათვლით არნტალამდე განუზომლად დიდი გამოცდილება დავაგროვე.

⁴ On the Europeanization of private law in general, see R Zimmermann ‘The Present State of European Private Law’ (2009) 57 *American Journal of Comparative Law* 479-512; *idem*, ‘Comparative Law and the Europeanization of Private Law’ in M Reimann & R Zimmermann (eds) *The Oxford Handbook of Comparative Law* 2 edn (2019), ...

⁵ On the notion of ‘textual layers’ (originally a term of art in the scholarship of Roman legal history), see N Jansen & R Zimmermann ‘Contract Formation and Mistake in European Contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules’ (2011) 31 *Oxford Journal of Legal Studies* 625-662 (626); R Zimmermann ‘Die Auslegung von Verträgen: Textstufen transnationaler Modellregeln’ in *Festschrift für Eduard Picker* (2010) 1353-1373.

I. ერნსტ რაბელი და ჰააგის კონვენცია

წარმოდგენილ კონტექსტში 1980 წელი დასამახსოვრებელი იყო კიდევ ორი მიზეზის გამო. პირველი ვენის დიპლომატიურ კონფერენციაზე⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ კონვენციის (CISG) მიღება იყო. მეორე მიზეზი კი უკავშირდება რომის კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ (UNIDROIT) სამუშაო ჯგუფის დაფუძნებას, რომელმაც მიზნად დაისახა „საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებისთვის ძირითადი პრინციპების“⁷ შემუშავება. დასახელებული ორივე მოვლენა ფუძემდებლური მნიშვნელობის მქონე იყო სახელშეკრულებო სამართლის გლობალური ჰარმონიზაციის პროცესში, განსაკუთრებით კი ევროპის სახელშეკრულებო სამართალთან მიმართებით. CISG საკითხთან დაკავშირებით თანმიმდევრულად შექმნილი ყველა ევროპული ტექსტის საფუძველია და აქედან გამომდინარე, – ყველაზე შესაფერისი ამოსავალი დებულებაა. კონვენციის ისტორია სათავეს იღებს 1926 წლიდან, როდესაც რომის სამართლის პროფესორის – ვიტორიო შალოიას ხელმძღვანელობით დაფუძნდა რომის კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROIT) რომის უნივერსიტეტ „ლა საპიენცაში“. შალოია ინსტიტუტის პირველი პრეზიდენტი იყო⁸.

⁶ The Convention entered into force on 1 January, after ten instruments of ratification, acceptance, approval, or accession had been deposited. The Test is easily accessible in O Radley-Gardner, H Beale & R Zimmermann *Fundamental Texts on European Private Law (FunTexts)* 2 edn (2016) 893-918.

⁷ UNIDROIT (ed): *Principles of International Commercial Contracts* (1994) vii.

⁸ On UNIDROIT, see H Kronke (between 1998 and 2008 General Secretary of UNIDROIT), UNIDROIT, in: *MaxEuP* (n 3) 1723-1727.

UNIDROIT-ის პირველი მმართველი საბჭოს ერთ-ერთი წევრი იყო ერნსტ რაბელი, რომის სამართლის პროფესორი⁹, რომელმაც პარალელურად დააარსა კაიზერ ვილჰელმის სახელობის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტი ბერლინში (ჰამბურგის მაქს-პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის წინამორბედი).¹⁰ 1928 წელს რაბელმა სკალოიას საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის უნიფიკაციის UNIDROIT-ის სამუშაო პროგრამაში ინკორპორირება შესთავაზა. ეს შეთავაზება მომდევნო წელს განხორციელდა, რასაც შედეგად თავდაპირველად კაიზერ ვილჰელმის ინსტიტუტის წერილობითი მოხსენება¹¹, ხოლო შემდეგ კერძო სამართლის 4 მთავარი სამართლის სისტემის (ინგლისი, საფრანგეთი, სკანდინავია და გერმანია)¹² წარმომადგენლების მონაწილეობით საერთაშორისო კომიტეტის დაფუძნება მოჰყვა. პირველი წერილობითი ტექსტი შემუშავებულ იქნა 1935 წელს.¹³ აღნიშნული პროექტის სულისჩამდგმელი იყო ერნსტ რაბელი, რომლის მიერ მომზადებულ შედარებით კვლევას (კაიზერ ვილჰელმის ინსტიტუტის თანამოაზრეებთან ერთად), „საქონლის ნასყიდობის სამართლის“ მონოგრაფია დაეფუძნა. მონოგრაფიის პირველი ნაწილი

⁹ On Ernst Rabel, see G Kegel, 'Ernst Rabel – Werk und Person' (1990) 54 *RabelsZ* 1-23; T Utermark, 'Rechtsgeschichte und Rechtsvergleichung bei Ernst Rabel' (2005); R Kunze 'Ernst Rabel und das Kaiser-Wilhelm-Institut für ausländisches und internationales Privatrecht 1926-1945' (2004); R Zimmermann 'In der Schule von Ludwig Mitteis': Ernst Rabels rechtshistorische Ursprünge', (2001) 65 *RabelsZ* 1-38.

¹⁰ See J Basedow, U Drobniig, R Ellger et al *Aufbruch nach Europa: 75 Jahre Max-Planck-Institut für Privatrecht* (2001).

¹¹ *Rapport sur le droit comparé en matière de vente par l'Institut für ausländisches und internationales Privatrecht' de Berlin*, easily accessible today in HG Leser (ed), *Ernst Rabel: Gesammelte Aufsätze* vol III (1967) 381-484.

¹² E Rabel 'Die Arbeiten zur Vereinheitlichung des Kaufrechts' in *Gesammelte Aufsätze* (n 11) 496-515.

¹³ E Rabel 'Der Entwurf eines einheitlichen Kaufgesetzes' in *Gesammelte Aufsätze* (n 11) 522-612; see also *idem*, 'A Draft of an International Law of Sales' in *Gesammelte Aufsätze* (n 11) 613-636.

გამოქვეყნდა 1936 წელს¹⁴. გერმანელების მიერ ინსტიტუტის საქმიანობისგან რაბელის ჩამოშორებამ შეაფერხა ნაშრომის მეორე ნაწილის დასრულების პროცესი; რამაც საბოლოოდ დღის შუქი რაბელის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ იხილა¹⁵. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ UNIDROIT-ის თაოსნობით სამუშაო პროცესი განახლდა, რომლის შემაჯამებელი შედეგი იყო 1964 წლის ჰააგის ორი კონვენცია, – „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმირების თაობაზე უნიფიცირებული ნორმების შესახებ“ კონვენცია (ULF) და „საქონლის ნასყიდობის უნიფიცირებული სამართლის შესახებ“ კონვენცია (ULIS).¹⁶ ერთის ნაცვლად ორი კონვენციის შემუშავების მიზეზი უნდა ვეძებოთ 1935 წელს მიღებულ გადანყვეტილებაში, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულების დადების თაობაზე ზოგადი დებულებები¹⁷ ამოღებულ იქნა ნასყიდობის კონვენციის ტექსტიდან. ეს გადანყვეტილება განპირობებული იყო კონვენციის გამოყენების სფეროს გაფართოებისა და განზოგადების მოტივით არა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების, არამედ ზოგადად სახელშეკრულებო სამართლის მასშტაბით, თუმცა მოგვიანებით ეს ამბიცია შესუსტდა.¹⁸

¹⁴ E Rabel, *Das Recht des Warenkaufs* vol I (1936). ‘... das Vorbild der modernen, historisch und vergleichend angelegten juristischen Monographie’: G Kleinheyder & J Schröder (eds) *Deutsche und europäische Juristen aus neun Jahrhunderten* 6th edn (2017) 547; ‘monumental study’: I Schwenzler ‘Development of Comparative Law in Germany, Switzerland, and Austria’ in *Oxford Handbook* (n 4).

¹⁵ E Rabel, *Das Recht des Warenkaufs* vol II (1958).

¹⁶ On the history of which, see E von Caemmerer ‘Die Haager Konferenz über die internationale Vereinheitlichung des Kaufrechts vom 2. bis 25. April 1964’ (1965) 29 *RabelsZ* 101-145; P Schlechtriem ‘Bemerkungen zur Geschichte des Einheitskaufrechts’ in *idem* (ed) *Einheitliches Kaufrecht und nationales Obligationenrecht* (1987) 27-36. For a comprehensive commentary, see H Dölle (ed) *Kommentar zum Einheitlichen Kaufrecht* (1976).

¹⁷ They are published in Rabel *Warenkauf I* (n 14) 116.

¹⁸ See Dölle ‘Einleitung’ in *idem* (n 16), xxxvi; Rabel ‘Entwurf’ (n 13) 550.

II. გაერთიანებული ერაზის ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“

იქიდან გამომდინარე, რომ ჰააგის კონვენციის რატიფიცირება და მიერთება მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ქვეყანამ მოახდინა (ბელგია, გამბია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, სან მარინო, დიდი ბრიტანეთი და გერმანია), ამ ინსტრუმენტის პრაქტიკული კუთხით გამოყენებადობა ეჭვქვეშ დადგა. თუმცა ვენის ნასყიდობის კონვენციასა და ნაციონალურ სახელმეკრულებო სამართლის რეფორმაზე მისი არაპირდაპირი გავლენის გათვალისწინებით, იგი მსჯელობის მიმართულებების დაახლოების დაბრკოლებად იქცა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (UNCITRAL)¹⁹ 1966 წელს ჩამოყალიბდა გაეროს მუდმივმოქმედი კომიტეტის სახით და 1968 წლიდან, *intel alia*, საქმიანობის ძირითადად სფეროდ სართაშორისო ნასყიდობის სამართლის უნიფიკაცია განსაზღვრა. UNCITRAL-ის თანადგომით გამართული კონფერენციებისა და სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების შედეგად 1980 წელს მოხერხდა საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის კონვენციის²⁰ მიღება, რომელიც კერძო სამართლის დონეზე სამართლებრივი ჰარმონიზაციის ყველაზე წარმატებულ ინსტიტუტად შეიძლება მივიჩნიოთ²¹. აღნიშნული დოკუმენტი 2017 წლის ოქტომბრის მონაცემებით მოქმედებს 88 სახელმწიფოში²², რომელთა შორისაა აშშ, ჩინეთი, რუსეთის ფედერაცია, ხოლო Brexit-ის შემდეგ კონვენცია ძალაშია ევროკავშირის 27

¹⁹ On which, see F Ferrari UNCITRAL in *MaxEuP* (n 3) 1705-1708.

²⁰ For an overview of the development, see P Schlechtriem & I Schwenzer 'Introduction' in I Schwenzer (ed) *Slechtriem and Schwenzer: Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)* 3 ed (2010) 2 f.

²¹ U Magnus 'Sale of Goods (Uniform Law)' in *MaxEuP* (n 3) 1507-1512; P Huber 'Comparative Sales Law' in *Oxford Handbook* (n 4).

²² See the table in U Magnus 'Wiener UN-Kaufrecht (CISG)' in *J von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*, revised edn (2018) 27-31.

ნევრი ქვეყნიდან 24-ში. დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი და სამხრეთ აფრიკა იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომელთაც კონვენციის რატიფიცირება ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინამორბედი ორი კონვენციისგან (მაგალითად, სტრუქტურული თვალსაზრისით, ვენის ნასყიდობის კონვენციამ ერთ დოკუმენტში მოათავსა ორივე მათგანის – ULF-ისა და ULIS-ის მონესრიგების საგნები. გარდა ამისა, კონვენცია თავდაპირველად აწესრიგებს გამყიდველის ყველა ვალდებულებას, ხოლო შემდეგ – მყიდველის ყველა დაცვის ბერკეტს და ამავედროულად, მყიდველის ვალდებულებებს, რასაც მოსდევს გამყიდველის უფლებების დაცვის მექანიზმები, ნაცვლად იმისა, რომ ერთიანობაში მოეხდინა ყველა შესაბამისი ვალდებულების მონესრიგება)²³, ULF-ისა და ULIS-ის გავლენა ვენის ნასყიდობის კონვენციაზე ცალსახაა²⁴. ULF და ULIS-ს, როგორც ერნსტ რაბელის ფუნდამენტურ შედარებით-სამართლებრივ კვლევას განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვენის ნასყიდობის კონვენციაში ასახულ მონესრიგებებზე.²⁵

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მონესრიგების სფერო მხოლოდ საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებით²⁶ შემოიფარგლება და მოიცავს მხოლოდ კომერციულ ხელშეკრულებებს²⁷ და მოითხოვს, მინიმუმ ხელშეკრულების მხარეთა საქმიანობის ადგილი სხვადასხვა ხელმშემკვრელ სახელმწიფოში მდებარეობდეს²⁸. მხარეებს შეუძლიათ, ასევე, გამორიცხონ აღნიშნული

²³ Schlechtriem & Schwenger refer to a 'horizontal' as opposed to a 'vertical' structure in that respect; see 'Introduction' (n 20) 3 f.

²⁴ Schlechtriem & Schwenger 'Introduction' (n 20) 2.

²⁵ In the discussion on damages in N Jansen & R Zimmermann *Commentaries on European Contract Laws* (2018) 1432-1497, for example, Rabel's *Warenkauf*, vol I, is quoted more than 60 times, and also the relevant provisions of ULIS, particularly Art 84 and 85, are referred to repeatedly; see eg the textual layers printed under Art 9:506 and 9:507.

²⁶ Art 1(1) CISG.

²⁷ See Art 2(a) CISG: no application to what may be termed consumer sales.

²⁸ For details, see Art 1 CISG.

კონვენციის გამოყენება²⁹. შეიძლება ითქვას, რომ ბევრი სტანდარტული ხელშეკრულების ტექსტი შეიცავს მსგავს დათქმას კონვენციის გამოყენების გამორიცხვის თაობაზე. მარეგულირებელი აქტის მიმართ ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება თავდაპირველად განპირობებული იყო ერთგვარი სიახლისა და უცხო ნორმათა ერთობლიობის შიშით, რაც დღეს უკვე არგუმენტად აღარ გამოდგება³⁰; ამასთან, სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებმა თავად უნდა გადაწყვიტონ კონკრეტული ტრანზაქციის კონვენციის ნორმებთან დაქვემდებარების საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ვერ ამოქმედდება³¹. დღეს ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ვენის ნასყიდობის კონვენცია მხარეებს სთავაზობს დაბალანსებულ და ორივე მხარის ინტერესების თანაბრად დამცავ ნორმებს, სადაც მეორე მხარესთან შედარებით, უპირატესი მდგომარეობით არცერთი მხარე სარგებლობს.³² გარდა ამისა, CISG-თან დაკავშირებით დღეს უკვე ძალიან მდიდარი სასამართლო პრაქტიკაა დაგროვებული³³. მხოლოდ გერმანიაში, 2015 და 2016 წლებში ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილული იქნა კონვენციასთან დაკავშირებული 7 საქმე, ხოლო რეგიონული უმაღლესი სასამართლოების მიერ – ჯამში, 13 საქმე. არსებობს მთელი რიგი საძიებო პროგრამები,³⁴ სადაც, ასევე, დოკუმენტურადაა შენახული რელევანტური სასამართლო პრეცედენ-

²⁹ Art 6 CISG.

³⁰ See, eg, J Meyer 'UN-Kaufrecht in der deutschen Anwaltspraxis' (2005) 69 *RabelsZ* 457-486; P Schlechtriem & UG Schroeter *Internationales Kaufrecht* 6 edn (2016) [16] f; for the United States see, however, M Reimann 'The CISG in the United States: Why It Has Been Neglected and Why Europeans Should Care' (2007) 71 *RabelsZ* 115-129 (122-124).

³¹ Schlechtriem & Schroeter (n 30) [16].

³² See eg Magnus in *Staudinger* (n 22), Einleitung zum CISG, [8] with a list of advantages and drawbacks of the CISG in [6] f.

³³ 'Thousands of arbitral awards and judicial decisions worldwide': Schlechtriem & Schroeter (n 30) [7]. Even ULF and ULIS had already generated more case law than often maintained; see Schlechtriem (n 16) 30.

³⁴ U Magnus 'UN-Kaufrecht – Aktuelles zum CISG' (2017) 25 *Zeitschrift für Europäisches Privatrecht* 140-164 (141 f.).

ტები.³⁵ ასევე, დინამიკურად განახლებადი სამართლებრივი ლიტერატურა, მათ შორის, კონვენციის დეტალური კომენტარი, როგორცაა **Schlechtriem & Schwenger, and Magnus**.³⁶ ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შეიქმნა აკადემიური საზედამხედველო საბჭო, რომელიც საკუთარი პოზიციის სახით წარადგენს ნორმის ინტერპრეტირებასა და გამოყენების საკითხებზე სამართლებრივ დასკვნებს.³⁷

³⁵ See F Ferrari in *Schlechtriem & Schwenger* (n 20) Art 7 [11] f.; Staudinger/Magnus (n 22),xvi f. Einleitung zum CISG [27 a] und [52].

³⁶ See above (n 20, n 21 & n 22). The commentary by Schlechtriem and Schwenger also appears in a German version, the last edition of which is more recent than the English version: I Schwenger & P Schlechtriem (ed) *Kommentar zum Einheitlichen UN-Kaufrecht* 6 ed (2013).

³⁷ See Schwenger & Schlechtriem (n 20) 12 (attesting to that Council a 'prominent role'); Ferrari, in the 6th German edition of *Schlechtriem & Schwenger* (n 36), Art. 7, [19a].

III. სხვა საერთაშორისო კონვენციები და კონვენციების პროექტები

ხელშეკრულებების „არსებობის ციკლთან“ დაკავშირებით წარმომოხილელი პრობლემური საკითხების ფართო წრის მიუხედავად, CISG შემოიფარგლება მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის თემებით, როგორცაა, ხელშეკრულების დადება, მხარეთა ვალდებულებები და დაცვის სამართლებრივი მექანიზმები. მაგალითად, კონვენცია ყურადღების მიღმა ტოვებს ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებულ საკითხებს.³⁸ ასევე, კონვენციით მოწესრიგებული არაა ხანდაზმულობის საკითხები. 1974 წლის ივნისში ნიუ იორკში დიპლომატიურ კონფერენციაზე მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადის შესახებ“.³⁹ 1980 წელს CISG-ის მიღების შემდეგ, საჭირო გახდა აღნიშნული კონვენციის შესაბამისობაში მოყვანა და განხორციელებული ცვლილებების შემდეგ შეცვლილი რედაქცია ძალაში შევიდა 1988 წლის აგვისტოში.⁴⁰ ხანდაზმულობასთან დაკავშირებული კონვენცია გაცილებით წარუმატებელი აღმოჩნდა, ვიდრე CISG; ევროკავშირის მასშტაბით კონვენციის რატიფიცირება მოახდინა მხოლოდ ექვსმა „ახალმა“ სახელმწიფომ და ბელგიამ.⁴¹ კონვენციის მომზადების დროს არ განხორციელებულა ფართომასშტაბიანი შედარებითსამართლებრივი კვლევა, რაც მუდმივად კრიტიკის ობიექტად რჩება.⁴² ამ ნაკლოვანებების გათვალისწინებით, გაჟღერდა შეთავაზება კონვენციის „თანამედროვე საჭიროებებთან“ მორგების თაობაზე, თანა-

³⁸ Art 4 (a) CISG.

³⁹ *FunTexts* (n 6) 880-892.

⁴⁰ M Müller-Chen in *Schlechtriem and Schwenzler* (n 20), *Limitation Convention, Introduction*, [1]-[3].

⁴¹ Magnus in *Staudinger* (n 22), *Verjährungsübereinkommen*, [6].

⁴² R Zimmermann in *Commentaries* (n 25) *Introduction before Art 14:101* [10].

მედროვე სინამდვილის გათვალისწინებით.⁴³ შემდეგი საკითხი, რომელიც, ასევე, გამოიჩინა CISG-ის მოწესრიგების სფეროდან, არის წარმომადგენლობის თემა, რომლის შესახებაც ცალკე კონვენცია იქნა შემუშავებული: „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებში წარმომადგენლობის შესახებ“ კონვენცია (CAISG).⁴⁴ კონვენცია UNIDROIT-ის მიერ მომზადდა და მიღებულ იქნა 1983 წელს. ამ პერიოდიდან კონვენციის ტექტის რატიფიკაცია მოახდინა მხოლოდ 5-მა ქვეყანამ, თუმცა ვერ შეგროვდა ამოქმედებისთვის საჭირო რაოდენობა (10 ქვეყანა), რამაც კონვენციის წარუმატებლობა განაპირობა. ხანდაზმულობის თაობაზე კონვენციისგან განსხვავებით, წარმომადგენლობის თაობაზე დოკუმენტის შემუშავებაზე პირდაპირი გავლენა მოახდინა წარმომადგენლობის შესახებ ნორმების თაობაზე ევროპულმა და საერთაშორისო დისკურსმა.⁴⁵ 2001 წელს მიიღეს კიდევ ერთი კონვენცია „საერთაშორისო ვაჭრობაში მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ“ (CARIT).⁴⁶ მიუხედავად იმისა, რომ არც ეს დოკუმენტი შესულა ძალაში, ის დღემდე იწარჩუნებს „ყოვლისმომცველი და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტის სტატუსს დინამიკურად მზარდი ეკონომიკური მნიშვნელობით“⁴⁷.

UNCITRAL-მა შეუმუშავა უნიფიცირებული წესები „ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელშეკრულებო და-თქმით შეთანხმებული თანხის გადახდის შესახებ“.⁴⁸ აღნიშნული

⁴³ U Magnus 'Limitation in the International Arena – The United Nations Limitation Convention for International Sales' in O Remien (ed) *Verjährungsrecht in Europa – zwischen Bewährung und Reform* (2011) 105 f. On the modern mainstream approach, as laid out in PECL Chapter 14, see R Zimmermann in *Commentaries* (n 25), Introduction before Art. 14:101, [6].

⁴⁴ *FunTexts* (n 6), 919-928.

⁴⁵ See L Rademacher in *Commentaries* (n 25) Introduction before Art. 3:101 [8].

⁴⁶ *FunTexts* (n 6) 978-1000.

⁴⁷ N Jansen in *Commentaries* (n 25) Introduction before Art. 11:101 [3].

⁴⁸ 'UNCITRAL Uniform Rules on Contract Clauses for an Agreed Sum Due upon Failure of Performance' (1983) XIV *UNCITRAL Yearbook* 272.

ნესების ფორმირება საერთაშორისო ხელშეკრულებად ვერ განხორციელდა და დარჩა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1983 წელს მიღებული რეკომენდაციის სტატუსით წვერი სახელმწიფოების მიმართ, რასაც ხელი უნდა შეეწყოს ამ ნესების გააზრებული გამოყენებისთვის.⁴⁹ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჰარმონიზების მცდელობათა ციკლში დამუშავდა, ვადების გამოთვლა იყო. არსებობს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების და ევროატომის (1971) და ევროპის საბჭოს კონვენცია „ვადების გამოთვლის შესახებ“ (1972).⁵⁰ CISG ზოგად დებულებებთან ერთად შეიცავს ნორმებს, რომლებიც გარკვეული ქმედების ან განცხადების ინტერპრეტაციის⁵¹ შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული დებულება, თავის მხრივ, UNIDROIT-ის მიერ 1972 წელს შემუშავებულ „ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის შესახებ“ უნიფიცირებული ნესების პროექტს ეფუძნება.⁵²

⁴⁹ See O Remien *Zwingendes Vertragsrecht und Grundfreiheiten des EG-Vertrages* (2003) 524 f.; P Hachem *Agreed Sums Payable upon Breach of an Obligation* (2011) 41. Even earlier, in 1973, the Benelux countries had prepared a *Convention relative à la clause pénale* (Bulletin/Publikatieblad Benelux 1973-7) which was, however, never ratified. It may have influenced a Resolution of the Council of Europe's Committee of Ministers from 1978; see (1978) II *Uniform Law Review* 222-229. For general discussion, see M Baum 'Penalty Clauses' in *MaxEuP* (n 3) 1259-1263; R Zimmermann *Commentaries* (n 25) Art. 9:509 [7].

⁵⁰ For details, also on the impact of both instruments on subsequent texts, see O Unger in *Commentaries* (n 25) Art. 1:304 (1) [6].

⁵¹ Art 8 CISG.

⁵² See S Vogenauer in *Commentaries* (n 25) Introduction before Art 5:101 [3].

IV. საერთაშორისო და კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შეზღუდული რაოდენობის საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომლებიც სახელშეკრულებო სამართლის ცალკეულ ასპექტებს ეხება, მათ მაინც ვერ ვუნოდებთ ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის ამომწურავ კოდიფიკაციას (ნასყიდობის სამართლის სპეფიციკის ჩათვლით), ნაციონალური სამოქალაქო კოდექსების ხაზის გვერდით. ამგვარად, იდეა შემოთავაზებული იყო ასეთი ყოვლისმომცველი ინსტრუმენტის შესაქმნელად, თუნდაც მხოლოდ საერთაშორისო ნორმების „გადასინჯვის“ ან არასაკანონმდებლო მოდელური ნესების სახით.⁵³ 1980 წელს, UNIDROIT-ის თაოსნობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ზემოხსენებული გადასინჯვის მოსამზადებლად. სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად შეიქმნა საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების (PICC)⁵⁴ UNIDROIT-ის ნესების პირველი გამოცემა (1994). აღნიშნული პრინციპები ეხებოდა ხელშეკრულების დადებას, ნამდვილობას, ინტერპრეტაციას, პირობებს, ვალდებულების შესრულებას და ასევე, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შესაბამის ბერკეტებს. 1994 წელის რედაქციის შესავალი დებულებების მიხედვით,⁵⁵ „რამდენადაც UNIDROIT მოიცავს პრინციპებს, რომლებიც, ასევე, მონესრიგებულია ვენის საქონლის ნასყიდობის კონვენციით, ისინი უმეტესად იზიარებს იმ მიდგომებს და გადანყვეტებს, რაც კონვენციითაა დადგენილი იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც პრინციპების განსაკუთრებული ბუნებისა და მოქმედების არე-

⁵³ Nils Jansen analyses this phenomenon in his book: N Jansen *The Making of Legal Authority: Non-legislative Codifications in Historical and Comparative Perspective* (2010). See, especially, p 59-77 on the PECL (below, n 66) and the PICC (above, n 7). Cf. further R Zimmermann ‘Wissenschaftliches Recht’ am Beispiel (vor allem) des europäischen Vertragsrechts’ in Christian Bumke & Anne Röthel (eds) *Privates Recht* (2012) 21-48.

⁵⁴ Above, n 7.

⁵⁵ UNIDROIT (n 7) vii f.

ალის გათვალისწინებით, განსხვავებული მოწესრიგების აუცილებლობას იძლევა“. ამგვარი გადახვევები პრინციპების ტექსტში გვხვდება მხოლოდ „გამონაკლისის“ სახით. აქედან გამომდინარე, ვენის ნასყიდობის კონვენცია PICC-ისთვის „სავალდებულო ამოსავალი ნერტილია“⁵⁶. მოგვიანებით შეიქმნა ახალი სამუშაო ჯგუფები PICC-ის განვრცობილი და გადამუშავებული ვერსიების შესაქმნელად (2004, 2010 და 2016 წლებში), რაც შეიძლება ითქვას, მიმართული იყო ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის ყოვლისმომცველი მოდელური წესების დასადგენად, მათ შორის, ისეთი საკითხებისა, როგორცაა, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის, ან ბევრ ტრადიციულ ნაციონალურ კოდიფიკაციებში კერძო სამართლის ზოგადი ნაწილის შესახებ (ხანდაზმულობა, წარმომადგენლობა, მოთხოვნის დათმობა ან მოთხოვნის გაქვითვა).⁵⁷ 2016 წელს შექმნილი მეოთხე სამუშაო ჯგუფის ამოცანა იყო გრძელვადიანი ხელშეკრულებების სპეციალური საჭიროებების შესწავლა.⁵⁸ ამით აღიარებულ იქნა ფაქტი, რომ სტანდარტული ნასყიდობის ხელშეკრულებები აქამდე სახელშე-

⁵⁶ MJ Bonell *An International Restatement of Contract Law* 3 ed (2005) 305. Generally on the CISG as a 'veritable world sales law' and on its impact on other harmonization efforts, see MJ Bonell 'European Contract Law and the Development of Contract Law Worldwide' in *Proceedings of the 4th European Jurists' Forum* (2008) 85-110.

⁵⁷ On the 2004 edition, see R Zimmermann 'Die UNIDROIT-Grundregeln der Internationalen Handelsverträge 2004 in vergleichender Perspektive' (2005) 13 *Zeitschrift für Europäisches Privatrecht* 264-290. On the 2010 edition, see S Vogenauer 'Die UNIDROIT Grundregeln der Internationalen Handelsverträge 2010' (2013) 21 *Zeitschrift für Europäisches Privatrecht* 7-42. For comprehensive information on genesis (including working method), structure, presentation, and style, as well as content of the PICC, see S Vogenauer in *idem* (ed) *Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts* (PICC) 2 ed (2015) Introduction [14]-[43]; cf also J Kleinheisterkamp in *MaxEuP* (n 3) 1727-1732.

⁵⁸ UNIDROIT (Hg.), *UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2016* (2017), vii. For the up-to-date version of the PICC (with the exception of Art. 6.3.1 which was not adopted by the Governing Council), cf. also *FunTexts* (n 6), 1530-1575. On long-term contracts in general, see now W Doralt *Langzeitverträge* (2018); *idem* in *Commentaries* (n 25) Art. 6:112.

კრულებო სამართლის ზოგადი წესების შემუშავების დომინირებული პარადიგმა იყო.

PICC დადებითად მიიღეს აკადემიურ წრეებში და ვენის საქონლის ნასყიდობის საერთაშორისო ხელშეკრულების მსგავსად, მანაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ნაციონალური სახელშეკრულებო სამართლის რეფორმაზე.⁵⁹ თუმცა, სამწუხაროდ, პრაქტიკაში PICC-ის ნარმატებით ინკორპორირება კვლავ მიუღწევად მიზნად რჩება. UNIDROIT-ის მმართველი საბჭოს განცხადებით, 2004 წელს მან „გადააჭარბა [საბჭოს] ყველაზე ოპტიმისტურ მოლოდინებს“.⁶⁰ ამის საპირისპიროდ, 2014 წლის ნაშრომში სტეფან ვოგენაუერი მიიჩნევდა, რომ PICC-ის გამოყენების პრობლემის დაძლევა მთავარი სივრცის – სასამართლოებისა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიმართებით რთულად განსახორციელებელია; ემპირიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მან, ასევე, დაასკვნა, რომ PICC-ს არ გააჩნია ფართო გამოყენების სფერო და არც იმდენად ცნობილია ბიზნესის წრეებსა და პრაქტიკოსებში.⁶¹ მიუხედავად ამისა, მან, როგორც ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის საძირკველმა, მიაღწია „მსოფლიო მასშტაბებს, სამართლის საფუძველს“.⁶² ციტირებული პასაჟები

⁵⁹ Vogenauer in *PICC-Commentary* (n 57) Introduction [44]-[47]; R Michaels in *PICC-Commentary* (n 57) Preamble I [156]-[176].

⁶⁰ UNIDROIT (n 7) xxiii. In 2016, the Governing Council stated (viii) that the success of the previous editions had ‘not fallen short of [its] expectations’. Sadly, in an unprecedented move, the Governing Council decided to delete two key provisions (Art. 6.3.1 f. PICC) unanimously recommended by the Working Group; for comment, see Doralt in *Commentaries* (n 58) Art. 6:112 [16]; R Zimmermann ‘A Call for Courage: Termination for Compelling Reason’ in *UNIDROIT 90 years/Les 90 ans d’UNIDROIT* (2017) 119-122. On the problem at issue, see also S Vogenauer ‘Termination of Long-term Contracts ‘for compelling reason’ under the UNIDROIT Principles: the German Origins’ in *Eppur si muove: The Age of Uniform Law - Essays in Honour of Michael Joachim Bonell* (2016) 1698-1713.

⁶¹ Vogenauer in *PICC-Commentary* (n 57) Introduction [48] f. For a comprehensive analysis of the different uses envisaged by the Preamble of the PICC, see Michaels in *PICC-Commentary* (n 57), passim.

⁶² Vogenauer in *PICC-Commentary* (n 57) Introduction [47]; and see Michaels in *PICC-Commentary* (n 57) Preamble [9].

აღებულია PICC-ის ოფიციალური დოქტრინული კომენტარის შესავალი ნაწილის მეორე გამოცემიდან. როგორც ნილს ჯენსონი მიუთითებს, დიგესტების კომენტარის შემდეგ „ეს არის არასაკანონმდებლო ტიპის ტექსტის პირველი ყველაზე დიდი არა-ოფიციალური კომენტარი“.⁶³

⁶³ Jansen (n 53) 75. On the status of the *Corpus Iuris Civilis* (and thus also the Digest) as textual foundation of the *ius commune*, see 28-45.

V. ევროპული სახელმძღვანელო სამართლის პრინციპები

UNIDROIT-ის სამუშაო ჯგუფის თითქმის პარალელურად შეიქმნა მეორე, ევროპულ კონტექსტზე ორიენტირებული სამუშაო ჯგუფი. ეს იყო ევროპული სახელმძღვანელო სამართლის კომისია⁶⁴ დანიელი პროფესორის – ოლე ლანდოს მეთაურობით, რომელიც აღნიშნულ ჯგუფს თავადვე ხელმძღვანელობდა.⁶⁵ კომისია დაკომპლექტდა ევროპული გაერთიანების ყველა წევრი სახელმწიფოს მეცნიერებისგან და მიზნად ისახავდა ევროპული სახელმძღვანელო სამართლის პრინციპების (PECL) შემუშავებას. პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1995 წელს, ხოლო მეორე ნაწილმა დღის შუქი იხილა 2000 წელს გადამუშავებულ ვერსიასთან ინტეგრირებული ნაწილის სახით, მაშინ, როდესაც მესამე ნაწილი ცალკე გამოვიდა 2003 წელს და არ იყო ინტეგრირებული პირველ ორ ნაწილთან.⁶⁶ PECL-ის შედარება PICC-თან ბევრ ასპექტშია შესაძლებელი. ამისათვის საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ ორივე მათგანი მომზადდა ერთნაირ საწყისებზე, ორივე მათგანი მიზნად ისახავდა ერთსა და იმავე მიზანს და ორივე დაიწერა

⁶⁴ Above, n 1. This official title is hardly ever used; instead, reference is normally made to the Lando-Commission.

⁶⁵ On whom see the autobiography O Lando 'My Life as a Lawyer' (2002) 10 *Zeitschrift für Europäisches Privatrecht* 508-522.

⁶⁶ O Lando & H Beale (eds), *Principles of European Contract Law, Parts I and II* (2000); O Lando, E Clive, A Prüm, and R Zimmermann (eds), *Principles of European Contract Law, Part III* (2003). The three parts of PECL can also be found in *FunTexts* (n 6), 1003-1046. For discussion, see R Zimmermann 'Principles of European Contract Law' in *MaxEuP* (n 3), 1325-1328; *idem*, 'The Principles of European Contract Law: Contemporary Manifestation of the Old, and Possible Foundation for a New, European Scholarship of Private Law' in F Faust & G Thüsing (eds) *Beyond Borders: Perspectives on International and Comparative Law: Symposium in Honour of Hein Kötz* (2006) 111-152.

ერთნაირ სტილში.⁶⁷ PICC-ის მსგავსად, PECL-ის ინსპირაციის წყარო იყო ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციის გადასინჯვის (საფუძველში ამერიკული) იდეა და ეს უკანასკნელიც აგებულ იქნა ვენის ნასყიდობის კონვენციის მაგალითზე.⁶⁸ დასახელებული ორი პუბლიკაციის სტრუქტურა და სტილიც არსებითად მსგავსია, რადგან PECL-ის კომენტარს და ვფიქრობ, Blackletter-ის წესებსა და PECL-ის კომენტარს მსგავსი ნიშნები აქვთ. მეორე მხრივ, PICC-ის შემქმნელები „სისტემატიურად თავს არიდებენ ნაციონალურ კანონმდებლობას, რათა უკეთ იქნას დანახული მათ მიერ ნაჩვენები გადანყვევის გენეზისი“.⁶⁹ სტეფან ვოგენაუერისთვის ეს ინსტრუმენტი ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა, რომლის მიღებაც მხოლოდ მის დამაჯერებელ ძალაზეა დამოკიდებული.⁷⁰

⁶⁷ In spite of the title given to both projects, they contain rules (sometimes rather general and flexible rules) rather than principles in the usual jurisprudential sense of the word; see Zimmermann, ‘Contemporary Manifestation’ (n 66), 116; Vogenauer in *PICC-Commentary* (n 57) Introduction [37] f.; Michaels in *PICC-Commentary* (n 57) Preamble I [12] f. The title chosen for the German translation is ‘Grundregeln’: C von Bar & R Zimmermann, *Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I and II (2002), Teil III* (2005). On the general and flexible character of many of the rules contained in both PECL and PICC, see Vogenauer in *PICC-Commentary* (n 57) Introduction [36] f.; Michaels in *PICC-Commentary* (n 57) Preamble I [19]; on the ‘all-pervasive concept’ of reasonableness, widely employed throughout in PICC and PECL (and already in the CISG: see Schlechtriem & Schwenger (n 20) 3 f.), see JP Schmidt in *Commentaries* (n 25) Art. 1:302 [1]-[9]; cf. also the list in Lando & Beale *Principles of European Contract Law I and II* (n 66) 126 f.

⁶⁸ Fifty-two of the 132 articles contained in the first two parts of the PECL are modelled on a provision of the CISG; often, however, there are phrasing changes or modifications; see the table in HM Flechtner, ‘The CISG’s Impact on International Unification Efforts: The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts and the Principles of European Contract Law’ in F Ferrari (ed) *The 1980 Uniform Sales Law: Old Issues Revisited in the Light of Recent Experiences* (2003) 169-197 (181-187).

⁶⁹ UNIDROIT (n 7) viii.

⁷⁰ Vogenauer in *PICC-Commentary* (n 57) Introduction [23].

PICC და PECL თითქმის თანადროულად მომზადდა, თავდაპირველად UNIDROIT-ს, ხოლო შემდეგ ლანდოს კომისიის მიერ, რომლებმაც მოწინავე ადგილები დაიკავეს სხვა კომისიებთან ერთად. ორივე კომისია საქმიანობის პროცესში ითვალისწინებდა ერთმანეთის პოზიციას, რაც, საბოლოოდ, ბევრ ასპექტში მათ ურთიერთგანმაპირობებელ ბუნებაში აისახა. მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებობს ორი უმნიშვნელოვანესი განსხვავება: (i) UNIDROIT-ის საქმიანობის არეალი უმეტესად კონცენტრირებულია გლობალურ სეგმენტზე და არა მხოლოდ ევროპული სახელმეკრულებო სამართლის ჰარმონიზაციაზე და (ii) UNIDROIT-ის პროექტი უშუალოდ ეხება კომერციული ხელშეკრულებების სპეციფიკურ არეალს, ხოლო ლანდოს კომისიამ *tout court* ჩამოყალიბა სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები, რომლებშიც, ასევე, ხვდება მომხმარებელთან დადებულ გარიგებებიც. წარმოჩენილი განსხვავებების მიუხედავად, წარმოდგენილი მოდელური წესების ერთობლიობა ერთმანეთისგან არსებითად მაინც არ განსხვავება. მეტიც, გარკვეულ სფეროებში ისინი ფაქტობრივად იდენტურ დებულებებს შეიცავენ.⁷¹ ამგვარი სიახლოვის უპირველესი მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ დასახელებული ორივე პროდუქტი ვენის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის კონვენციიდან იღებს სათავეს.⁷² ევროპული მსჯელობების და აზროვნების მიმართულების დომინირებულ მდგომარეობას ევროპის მიღმაც კი (რაც ნათლად აჩვენებს, რომ PICC უდიდესი შთაგონების წყაროა სახელმეკრულებო სამართლის რეგიონული ჰარმო-

⁷¹ See, eg, A Hartkamp 'Principles of Contract Law' in A Hartkamp, MW Hesselink, EH Hondius et al (eds) *Towards a European Civil Code* 4 ed (2011) 239-259.

⁷² Above.

ნიზაციის ინსტრუმენტებისთვის)⁷³ ხაზს უსვამს ფაქტი, რომ არა მხოლოდ PECL-ის შემქმნელები, არამედ UNIDROIT-ის სამუშაო ჯგუფი საქმიანობის პროცესში დასავლური სამართლებრივი სისტემის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას ეყრდნობოდა.⁷⁴ მესამე მიზეზი არის ის, რომ იმ დროისთვის, როდესაც შეიქმნა ლანდოს კომისიის შექმნია PECL-ის დასაწერად, ევროპულ კანონმდებელს ჯერ არ ჰქონდა დაწყებული ზოგადი სახელმეკრულეო სამართლის დანაწევრება ისეთ სპეციფიციფიკურ დეტალებად, როგორცაა მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

PECL-ის ავტორები თავიანთ საქმიანობას აფასებდნენ როგორც მრავალმიზნობრივ ინსტრუმენტს.⁷⁵ PECL მიმართულია ევროპის მასშტაბით ტრანსსასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობის ხელშეწყობისკენ იმ კუთხით, რომ ახდენს ახალი ნეიტრალური წესების ფორმულირებას, რომლებიც მოშორებულია ნაციონალურ კონტექსტს, რითაც ქვეყნები ტრანზაქციების ამ ნორმებთან დაქვემდებარებას შეძლებენ. აღნიშნული ნორმები მიმართულია ევროპის გასაღების ბაზრის გაძლიერებისა და სახელმეკრულეო სამართლის სფეროში საერთო საკანონმდებლო სივრცის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისკენ; ამავე დროს, აღნიშნული ნორმები გვევლინება *lex mercatoria*-ს თანამედროვე ფორმულირებად, რაც ეფექტურ მექანიზმად შეიძლება იქნეს გამოყენებული არბიტრების მიერ, როდესაც მათ უწევთ საქმის გადაწყვეტა „საერთაშორისო დონეზე მიღებული პრინციპების და-

⁷³ See, eg, the Uniform Act on Contracts for 17 Francophone states in West and central Africa under the umbrella of OHADA, an organization for the harmonization of business law in Africa (see Michaels in *PICC-Commentary* (n 57) Preamble I [149]-[151]), or the Principles of Latin American Contract Law (on which see RU Momberg & S Vogenauer (ed) *The Future of Contract Law in Latin America: The Principles of Latin American Contract Law* (2017). For initiatives in (East) Asia, see Michaels in *PICC-Commentary* (n 57) Preamble I [155].

⁷⁴ Vogenauer in *PICC-Commentary* (n 57) Introduction [23] & [25]; Michaels in *PICC-Commentary* (n 57) Preamble I [16].

⁷⁵ See Lando & Beale *Principles of European Contract Law* (n 66) xxi-xxiv; cf. also Zimmermann 'Contemporary Manifestation' (n 66) 141-147.

ცვით“. აღნიშნული წესები, ასევე, გვევლინება ეროვნული კანონმდებლობის, სამოსამართლო სამართლისა და სასამართლო დოქტრინის შთაგონების წყაროდ. და ბოლოს, PECL ასევე, მიზანმიმართულია, შექმნას ევროპული სახელშეკრულებო სამართლის მომავლის საძირკველი.

მიუხედავად ცალკეული სტრუქტურული ნაკლოვანებისა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა,⁷⁶ PECL, როგორც აკადემიური პროექტი, ევროპული კერძო სამართლის ჰარმონიზაციის პროცესში პიონერული ნამოწყებაა.⁷⁷ დღემდე აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს ყველაზე შესაბამის მოდელურ წესებს, რომლებიც, ასევე, ტრადიციული ევროპული სახელშეკრულებო სამართლის სულისკვეთებას გამოხატავს და ქმნის ყველა შემდგომი ტექსტობრივი შრის საძირკველს საერთო ევროპული ნასყიდობის სამართლის სფეროში. ლანდოს კომისიასთან წარმატებული თანამშრომლობა გახდა სხვა მრავალი ინიციატივის ნამოწყების საბაზი ამავე სფეროში. მათ შორისაა, ევროპული დელიქტური სამართლის პრინციპები (PETL); ევროპული საკუთრების მინდობის სამართლის, ევროპული საოჯახო სამართლის პრინციპები (PEFL), ევროპული სადაზღვევო სამართლის პრინციპები (PEICL).⁷⁸

⁷⁶ On structural deficiencies essentially arising from the fact that the work on the Principles has been split into three stages, see Zimmermann ‘Contemporary Manifestation’ (n 66) 115-117.

⁷⁷ H Kötz *European Contract Law* 2nd ed (2017) 3: ‘[a]n initial and – as it turned out – momentous step’.

⁷⁸ For overviews, see U Magnus ‘Principles of European Tort Law (PETL)’ in *MaxEuP* (n 3) 1335-1339; DJ Hayton, SCJJ Kortmann & HLE Verhagen (eds) *Principles of European Trust Law* (1999); W Pintens ‘Principles of European Family Law’ in *MaxEuP* (n 3) 1329-1331; H Heiss ‘Principles of European Insurance Contract Law (PEICL)’ in *MaxEuP* (n 3), 1331-1334. For the texts of these Principles, see *FunTexts* (n 6) 1576-1623.

VI. ACQUIS COMMUNAUTAIRE და ACQUIS-ის პრინციპები

PECL (2003) და PICC (2004)-ის გამოქვეყნების შემდეგ ევროპაში ბევრი იურისტი მიიჩნევდა, რომ CISG, PICC და PECL იყო ტექსტობრივი ტრიადა, რომელსაც უნდა შეესრულებინა გადამწყვეტი როლი სახელშეკრულებო სამართლის ჰარმონიზაციის საქმეში ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ.⁷⁹ თუმცა მთავარი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ იმ დროისათვის PECL უკვე ადეკვატურად ვეღარ ასახავდა ევროპული სახელშეკრულებო სამართლის მთლიან არსს.⁸⁰ 1980 წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, ევროპის მასშტაბით სახელშეკრულებო სამართალთან დაკავშირებით მთელი რიგი დირექტივები მიიღეს, მაგ., დირექტივა „ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შესახებ“ (1985), „მომხმარებელთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულების შესახებ“ (1986), დირექტივა „ტვირთის გადაზიდვის შესახებ“ (1990), დირექტივა „არასამართლიანი პირობების შესახებ“ (1993), „ტაიმშერის შესახებ“ (1994), დირექტივა „დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ“ (1997), „მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ“ დირექტივა (1999), დირექტივა „მოგვიანებით ანგარისშსწორების შესახებ“ (2000) და დირექტივა „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (2000).⁸¹ ევროპის გაერთიანების მასშტაბით ბევრმა სახელმწიფომ მოახდინა აღნიშნული დირექტივების იმპლემენტაცია⁸² (2009

⁷⁹ See O Lando 'CISG and its Followers: A Proposal to Adopt Some International Principles of Contract Law' (2005) 53 *American Journal of Contract Law* 379-401, referring to the 'troika'.

⁸⁰ The story of the development of European contract law has previously been told in N Jansen & R Zimmermann 'European Contract Laws: Foundations, Commentaries, Synthesis' in *Commentaries* (n 25) [12]-[23]. Cf. further Zimmermann *Oxford Handbook* (n 4); H Beale 'The story of EU contract law – from 2001 to 2014' in C Twigg-Flesner (ed) *Research Handbook on EU Consumer and Contract Law* (2016) 431-462; Kötz (n 77) 1-15.

⁸¹ The text of these Directives can be found in the first edition (2003) of *FunTexts* (n 6) under Part 1.

⁸² K Riesenhuber & F Möslin 'Directive' in *MaxEuP* (n 3) 462-466.

ნლის დეკემბრიდან ევროკავშირი);⁸³ მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, აღნიშნული დირექტივები განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზანს და შედეგს ემსახურება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წევრი სახელმწიფოების კერძო სამართლის ჩამოყალიბებას, რაც ხშირად სცდება კიდევ უშუალო მონესრიგების საგანს. მაგალითად, „მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ“ დირექტივასთან დაკავშირებულმა რეფორმამ დიდი გავლენა მოახდინა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) რიგ ნორმებზეც, რაც გამოიხატა 2002 წელს „ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის შესახებ“ აქტის მიღებით. უმეტესი დირექტივა დაკავშირებულია მომხმარებელთა უფლებებთან,⁸⁴ „მოგვიანებითი ანგარიშსწორების შესახებ“ დირექტივა იცავს მცირე და საშუალო ბიზნესს.⁸⁵ ყველა დასახელებული დირექტივა ქმნის ერთ მთლიანობას, რასაც უწოდებენ *acquis communautaire*, ანუ სამართლებრივი წესების ნაწილს, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ევროპის კავშირის სამართალს და აქვთ მბოჭავი ძალა წევრი სახელმწიფოებისთვის.

ერთი შეხედვითაც თვალშისაცემია, რომ *acquis communautaire* სახელშეკრულებო სამართლის სივრცეში არ ქმნის ერთიან მდგრად სისტემას, მათ შორის არც მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. მომხმარებელი, სამართლებრივი დეფინიციით,⁸⁶ დაცულია სხვადასხვა სპეციფიკურ სიტუაციაში: მაგალითად, ის პირები, რომელთანაც მომხმარებელი დებს ხელშეკრულებას,

⁸³ N Colneric 'European Union' in *MaxEuP* (n 3) 641-645. The European Union is the successor to the European Community which, in turn, succeeded the European Economic Community in 1993. For details on this development, see N Colneric 'European Community' in *MaxEuP* (n 3) 565-569.

⁸⁴ For overviews on EU consumer law, see N Reich, HW Micklitz, P Rott et al (eds) *European Consumer Law 2* ed (2014); Twigg-Flesner *Research Handbook* (n 80); S Whittaker 'Consumer Contracts' in H Beale (ed) *Chitty on Contracts*, vol II 32 ed (2015) [38-001]-[38-547].

⁸⁵ See R Zimmermann in *Commentaries* (n 25) Art. 9:508 [6].

⁸⁶ See N Jansen in *Commentaries* (n 25) Art. 1:301 [2] and Annex; H Rösler 'Consumers and Consumer Protection Law' in *MaxEuP* (n 3) 369-373.

ვალდებულნი არიან ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე, ამავე ნაწილში შედის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დეკლარირება.⁸⁷ მიუხედავად ამისა, აღნიშნული დირექტივების მიღება მოხდა სხვადასხვა დროსა და პერიოდში,⁸⁸ და ევროპის კავშირი ბევრი ქვეყნის მცდელობა (მაგ. იტალია, საფრანგეთი, ავსტრია) ერთიანი საკანონმდებლო სივრცის ჰარმონიზების ნაწილში არასაკმარისად უნდა იქნეს აღიარებული.⁸⁹

ამ საფუძვლით გაერთიანდა მეცნიერთა ჯგუფი, რომლის კოორდინატორიც იყო ჰანს შულტე-ნიოლკე (ოსნაბრიუკი), რათა შეემუშავებინათ სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპები *acquis communautaire*, რომელიც „არსებული“ ევროკავშირის კერძო სამართლის მოდიფიცირებას ერთგვარი ტენდეციურობით ახდენს.⁹⁰ აღნიშნული ჯგუფის საქმიანობის შედეგად გამოიცა წიგნი სახელწოდებით, „ევროკავშირის სახელშეკრულებო სამართლის „არსებული“ პრინციპები“ (*Acquis Principles: Contract I* (2007)), რომელიც შეიცავს საკვანძო „პრინციპებს“ (ან უფრო: წესებს)⁹¹ და ეს წესები მოიცავს *Acquis Principles (ACQP)*, ასევე, თითოეული ამ პრინციპის გენეზისის ახსნას *acquis communautaire*-ში და კომენტარს. ორი წლის შემდეგ გამოიცა აღნიშნული პრინციპების გავრცობილი ვერსია *Contract II* (რომელიც მოიცავდა *Contract I*-ის გადამუშავებულ ვარიანტსაც.⁹² კონცეპტუალურად, *ACQP* იყო *PECL*-ის შემავსებელი წესების

⁸⁷ For an overview, see R Zimmermann *The New German Law of Obligations: Historical and Comparative Perspectives* (2005) 210-224. For a detailed assessment, see H Eidenmüller, F Faust, HC Grigoleit, et al *Revision des Verbraucher-acquis* (2011) (see also the English summary in (2011) 48 *Common Market Law Review* 1077-1123).

⁸⁸ '[O]dd batch': S Weatherill 'Do we need a European Contract Law?' in *Proceedings of the 4th European Jurists' Forum* (2008) 3-47 (7).

⁸⁹ See the references in Zimmermann *The New German Law of Obligations* (n 87) 224 f.

⁹⁰ See HC Grigoleit & L Tomasic 'Acquis Principles' in *MaxEuP* (n 3) 10-15.

⁹¹ See above.

⁹² Research Group on the Existing EC Private Law (Acquis Group) (ed.), *Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles): Contract I* (2007); *Contract II* (2009).

ერთობლიობა. ის, რაც გამოტოვებული იქნა ACQP-ში, გახდა *acquis communautaire* შესწავლის საგანი, რასაც მთლიანობაში შესაძლებელია ვუნოდოთ გადასინჯვა.⁹³ კონცეპტუალურად, ACQP თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული, თუმცა, სხვა მხრივ, იგი „ევროპის კავშირის არსებული სახელშეკრულებო სამართლის“ რეპროდუქციაა. ამ მხრივ, *acquis*-ის ჯგუფის საქმიანობა უნდა შევაფასოთ გაცილებით ფართოდ, ვიდრე მხოლოდ რეპროდუქცია, სადაც შეინიშნება ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი შეზღუდვებისგან აბსტრაქტიზებისა და *acquis communautaire*-ით დადგენილი წესების გენერირების ტენდენცია.⁹⁴

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს როდესაც Acquis Group-ი დაკავებული იყო ACQP-ის პროექტის შემუშავებით, ევროკავშირს არ შეუწყვეტია „არსებული“ სახელშეკრულებო სამართლის განვითარება, ამ პერიოდში გამოქვეყნდა ახალი დირექტივა და ასევე, გადამუშავებული იქნა ძველი. 2008 წელს ძალაში შევიდა გადამუშავებული სამომხმარებლო კრედიტის და ტაიმშერის დირექტივა, 2011 წელს გამოქვეყნდა ვადაგადაცილებული გადახდების დირექტივა და აგრეთვე, 2011 წელს გამოქვეყნებულ იქნა მომხმარებელთა უფლებების დირექტივა.⁹⁵

ბოლოს მიღებული სამართლებრივი აქტების თავდაპირველი დანიშნულება იყო, 2008 წელს⁹⁶ გამოქვეყნებულ მომხმარებელთა უფლებების დირექტივასთან დაკავშირებით უზრუნველყო სრულმასშტაბიანი კონსოლოდირება, ანუ განეხორციელებინა მომხმარებელთა უფლებების სფეროში არსებული ოთხი მნიშვნელოვანი

⁹³ For suggestions for such revision, see *Revision des Verbrucher-acquis* (n 87).

⁹⁴ For a more detailed critical assessment of the ACQP, see N Jansen & R Zimmermann 'Restating the Acquis Communautaire? A Critical Examination of the 'Principles of the Existing EC Contract Law'' (2008) 71 *Modern Law Review* 505-534; T Wilhelmsson 'The Contract Law Acquis: Towards More Coherence Through Generalization?' in *Proceedings of the 4th European Jurists' Forum* (2008) 111-153.

⁹⁵ For the texts of these Directives, see *FunTexts* (n 6) Part I, the Directives (in chronological order).

⁹⁶ COM(2008) 614 final.

დირექტივის „ერთ ჰორიზონტალურ ინსტრუმენტად „შერწყმა“.⁹⁷ შესაბამისად, გამოქვეყნებული მომხმარებელთა უფლებების დირექტივა შეიქმნა მანამდე არსებული ორი დირექტივის გაერთიანების შედეგად, მაგ., „ქუჩაში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ“ დირექტივა და „დისტანციური ხელშეკრულებების შესახებ“ დირექტივა.⁹⁸ ევროკომისიის დაჟინებული მოსაზრების თანახმად, ACQP-ის მსგავსად, მომხმარებელთა უფლებების დირექტივა არ ასახავდა *Acquis communautaire*-ის კრიტიკულ მიმოხილვას.⁹⁹

⁹⁷ The Proposal encountered opposition, particularly because of the shift of strategy from minimum to full harmonization; see, eg, N Reich, 'Von der Minimal- zur Voll- zur 'Halbharmonisierung' – Ein europäisches Privatrechtsdrama in fünf Akten', (2010) 18 *Zeitschrift für Europäisches Privatrecht* 7-39; J Smits, 'Full Harmonization of Consumer Contract Law? A Critique of the Draft Directive on Consumer Rights' (2010) 18 *European Review of Private Law* 5-14; HC Grigoleit 'Der Verbraucheracquis und das Europäische Privatrecht' (2010) 210 *Archiv für die civilistische Praxis* 354-423 (408-414).

⁹⁸ For comment, see C Wendehorst *Die neue Richtlinie über die Rechte der Verbraucher*, in: *Festschrift für Irmgard Griss* (2011) 717-734.

⁹⁹ Cf. *infra*.

VII. ეპროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, საერთო ჩარჩო წესებზე მიტიითება და CONTRACTUELS COMMUNS-ის პრინციპები

ამჟამად ერთდროულად არსებული ორი პრინციპის, კერძოდ *acquis commun-*ის (ანუ ტრადიციული კერძო სამართალი, რომელიც პირველად გათვალისწინებული იყო *ius commune*-ში და შემდეგ ნახსენებია ეროვნულ კოდიფიკაციებში) (PECL), და *acquis communautaire*-ის (ACQP), მეშვეობით მოხერხდა ორი სამართლებრივი ჯგუფის ერთ ინსტრუმენტად გაერთიანება. აღნიშნული განხორციელებულ იქნა „CoPECL Network of Excellence“-ის მიერ, რომელიც ჩამოყალიბდა ევროკომისიის კვლევის მეექვსე ჩარჩო პროგრამით, სადაც *Acquis*-მა და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის კვლევითმა ჯგუფებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ზემოხსენებული ჯგუფი 1998 წელს უკვე შექმნილი იყო ქრისტიან ვონ ბარის მიერ (ოსნაბრიუკი).¹⁰⁰ იგი მოქმედებდა, როგორც ლანდოს კომისიის მემკვიდრე, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურა, მიზნები და სამუშაო მეთოდები სრულიად განსხვავებული იყო, წლების განმავლობაში კვლევითმა ჯგუფმა ევოლუცია განიცადა, შეიქმნა დამატებითი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მუშაობდნენ სამართლის იმ სფეროში, რომელსაც PECL არ მოიცავდა: გაყიდვებისა და მომსახურების სახელშეკრულებო სამართალი, იჯარა, კომერციული წარმომადგენლობა, ფრენზა-იზინგი და სადისტრიბუციო ხელშეკრულება, მანდატი, დონაცია, სესხის ხელშეკრულება, დელიქტი (ე.წ. „არასახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა სხვა პირისთვის ზიანის მიყენების შედეგად“), უსაფუძვლო გამდიდრება, *negotiorum gestio* („დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება“), პირადი თავდებობა, საკუთრების უფლების შექენა და დაკარგვა, მოძრავ ქონებაზე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები და მინდობილი საკუთრება. შესაბამისად, კვლევით ჯგუფს სურდა შეემუშავებინა

¹⁰⁰ C von Bar 'Die Study Group on a European Civil Code' in Festschrift für Dieter Henrich (2000) 1-12; M Schmidt-Kessel 'Study Group on a European Civil Code' in MaxEuP (fn. 3) 1611-1614.

„მემკვიდრეობითი სამართლის“ მნიშვნელოვანი ნაწილი (და არ შემოფარგლულიყო მხოლოდ საქონლითა და უძრავი ქონების განკარგვით). დროთა განმავლობაში, კვლევითი ჯგუფის ეგიდით, ევროპის სამოქალაქო კოდექსისა და ევროპის სამართლის პრინციპების ერთობლივი დებულებების გათვალისწინებით (PEL), გამოქვეყნდა დიდი რაოდენობის ცალკეული გამოცემები.¹⁰¹ აღნიშნული გამოცემები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი საპირისპიროს ამტკიცებს, უკვე არსებული ნორმების გადამუშავება არაა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივი ჰარმონიზაციის საფუძველები, სახელშეკრულებო სამართალთან შედარებით, სრულყოფილად დამუშავებული არ ყოფილა. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მუშაობის პერიოდში, კვლევითი ჯგუფმა ახალი წესები და ახალი სამართლებრივი კონცეფციები შეიმუშავა.¹⁰²

ერთადერთ ინსტრუმენტს, რომლის მიზანის იყო, გაეერთიანებინა *acquis commun* და *acquis communautaire*, მოიხსენიებენ ენ. ენიგმატური დასახელებით: საერთო ჩარჩო წესების პროექტი (DCFR).¹⁰³ აღნიშნული განახორციელა *Acquis* და კვლევითი ჯგუფის წევრებისგან შექმნილმა „შესწორებისა და გაერთიანების

¹⁰¹ C von Bar (ed) *Benevolent Intervention in Another's Affairs* (PEL vol 1) (2006); MW Hesselink, JW Rutgers, OB Diaz et al (eds) *Commercial Agency, Franchise and Distribution Contracts* (PEL vol 2) (2006); JM Barendrecht, C Jansen, M Loos et al (eds) *Service Contracts* (PEL vol 3) (2007); U Drobniig (ed) *Personal Security* (PEL vol 4) (2007); K Lilleholt, A Victorin, A Fötschl et al (eds) *Lease of Goods* (PEL vol 5) (2008); E Hondius, V Heutger, C Jeloschek et al (eds) *Sales* (PEL vol 6) (2008); C von Bar (ed) *Non-Contractual Liability Arising out of Damage Caused to Another* (PEL vol 7) (2009); C von Bar & S Swann *Unjustified Enrichment* (PEL vol 8) (2010); B Lurger & W Faber (eds) *Acquisition and Loss of Ownership of Goods* (PEL vol 9) (2011); MBM Loos & OB Diaz (eds) *Mandate Contracts* (PEL vol 10) (2013); U Drobniig & O Böger (eds) *Proprietary Security in Moveable Assets* (PEL vol 11) (2015).

¹⁰² N Jansen *Binnenmarkt, Privatrecht und europäische Identität* (2004) 31-63; R Zimmermann 'Europäisches Privatrecht – Irrungen, Wurrungen' in *Begegnungen im Recht* (2011) 321-350 (326 f.); idem 'The Present State' (n 4)494-503; idem in *Oxford Handbook* (n 4), ...

¹⁰³ See R Zimmermann 'Common Frame of Reference (CFR)' in *MaxEuP* (n 3) 261-265.

გუნდმა“, რომელიც ჩამოყალიბდა 2006 წლის დასაწყისში. არსებობით კი DCFR მოიცავს: PECL-ის, ACQP-ის და PEL-ის შვიდტომეულის წესებს. აღსანიშნავია, რომ PECL ნორმატიული კვლევითი ჯგუფის მიერ უკვე იყო შესწავლილი, შესწავლა გახორციელებულ იქნა ზოგადად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი არსებითადაც. რაც მთავარია, შესწავლის შედეგად PECL აღარაა იზოლირებული სახელშეკრულებო სამართლის წესები, შესწავლის შემდეგ მოხდა მისი კონცეპტუალური ცვლილება ვალდებულებითი სამართლის გათვალისწინებით. ამგვარად, DCFR-ის ნიგნები I-III ჩათვლით, დაყოფილია სამ ნაწილად, – სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნაწილად, ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილად და საერთო ზოგად ნაწილად. DCFR-მა დაამკვიდრა აბსტრაქტული ტერმინი „სამართლებრივი აქტი“, მაგალითად, ხელშეკრულება არის „ორმხრივი ან მრავალმხრივი აქტი“. (Art. II.-1:101 (1)). ამ ზედმეტად სისტემატური კატეგორიების წარდგენა მიუთითებს დოქტრინაზე, რომელიც ასოცირდება გერმანულ იურიდიულ მეცნიერებასთან. თანამედროვე შედარებით მსჯელობებში, „სამართლებრივი აქტის“ კონცეფცია ფართო მასშტაბებში არაფრის მომცემია.¹⁰⁴

DCFR-ის შემუშავების პროცესში, ასევე, შესწორებულ იქნა ACQP-ც. DCFR გამოიცა სამი ვერსიის სახით, თითოეული მათგანი დეტალებში განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: შუალედური მონახაზი გამოიცა 2008 წლის თებერვალს,¹⁰⁵ შუალედური გამოცემა – 2009 წლის თებერვალს,¹⁰⁶ ხოლო სრული გამოცემა

¹⁰⁴ See, for example, F Ranieri *Europäisches Obligationenrecht* 3 ed (2009) 150. For a comprehensive and balanced assessment of the ‘juridical act’ doctrine and its implementation, see JP Schmidt in *Commentaries* (n 67) Art 1:107 [13]-[18].

¹⁰⁵ C von Bar, E Clive & H Schulte-Nölke (eds) *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR) Interim Outline Edition* (2008).

¹⁰⁶ C von Bar, E Clive & H Schulte-Nölke (eds) *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR) Outline Edition* (2009).

განხორციელდა – 2009 წლის ოქტომბერს.¹⁰⁷ DCFR მწვავე კრიტიკის საგანი გახდა,¹⁰⁸ ვინაიდან ნასყიდობის სამართლისა და სახელშეკრულებო სამართლის ფარგლებს გარეთ გასვლის მცდელობა ზედმეტად ამბიციურად ჩაითვალა, DCFR-ის დებულებების სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთს არ შეესაბამებოდა, ტექსტის პირველადი ვერსიის ცვლილებები, კონკრეტულად კი PECL-ი, მარტივად აღქმადი არ იყო; ხოლო იურდიული კონცეფციების უმეტესობა ზედმეტად დოქტრინული ხასიათისა იყო და DCFR-ის¹⁰⁹ განმარტებანი უფრო მეტად სახელმძღვანელოს შეესაბამებოდა, ვიდრე მოდალურ სამართლებრივ მონესრიგებებს.

CoPECL-ის ჯგუფი, რომელიც DCFR-ის შესაქმნელად ჩამოყალიბდა, ასევე, მოიცავდა *Henri Capitant des Amis de la Culture Juridique Française*-ს და *Société de Législation Comparée*-ს ორგანიზაციებს. აღნიშნული ორი ჯგუფი შექმნილი იყო PECL-ის შესწორებული ვერსიის გამოცემის მიზნით. იგი გამოიცა სათაურით – *Principes contractuels communs* (PCC) (კომენტარით) ფრანგულ ენაზე და შემდეგ (შეზღუდული მოულობით ე.წ. “Black Letter”-ის დებულებებით) ინგლისურ ენაზე.¹¹⁰ აღნიშნული დოკუ-

¹⁰⁷ C von Bar & E Clive (eds) *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law: Draft Common Frame of Reference (DCFR), Full Edition, vols I-VI* (2009).

¹⁰⁸ See, eg, H Eidenmüller, F Faust, HC Grigoleit et al ‘The Common Frame of Reference for European Private Law – policy Choices and Codification Problems’ (2008) 28 Oxford JLS 659-708; S Whittaker ‘The ‘Draft Common Frame of Reference’: An Assessment Commissioned by the Ministry of Justice, United Kingdom (2008) (available online); N Jansen & R Zimmermann ‘A European Civil Code in All But Name’’: Discussing the Nature and Purposes of the Draft Common Frame of Reference’ (2010) 69 Cambridge LJ 98-112; W Doralt ‘Strukturelle Schwächen in der Europäisierung des Privatrechts: Eine Prozessanalyse der jüngeren Entwicklungen’ (2011) 75 *RechtsZ* 260-285.

¹⁰⁹ Vol I of the Full Edition of the DCFR contains a catalogue of more than 150 definitions.

¹¹⁰ Association Henri Capitant des Amis de la Culture Juridique Française and Société de Législation Comparée, *Projet de Cadre Commun de Référence – Principes contractuels communs* (2008) 211-838; for the English version of the ‘black letter’ rules, see B Fauvarque-Cosson & D

მენტი სცდება საერთაშორისო განხილვის ჩარჩოებს და PECL-ში იგრძნობა ფრანგული სამართლის გავლენა. მუშაობის დაწყებისას დროის ფაქტორი გათვალისწინებული არ ყოფილა, DCFR-შემუშავდა დროის მოკლე მონაკვეთში, რამაც მის ხარისხზე უარყოფითი გავლენა იქონია.¹¹¹ ფრანგული სამუშაო ჯგუფების მიერ, ასევე, უნებლიედ შემუშავებული იქნა სამი დებულება, კერძოდ: “Principes directeurs du droit Européen du contrat” (“liberté contractuelle”, “sécurité contractuelle”, და “loyauté contractuelle”),¹¹² რაც DCFR-ის პირველი ტომის – „პრინციპების“, დამოუკიდებელი ნაწილია.¹¹³

Mazeaud (eds) *European Contract Law. Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules* (2008) 419-572.

¹¹¹ According to Beale ‘Story’ (n 80) 444, the Expert Group charged with the preparation of the Feasibility Study (see below (n 134)) did consider the PCC but this resulted ‘in very little, if any change in substance’. For an analysis of two parts of the PCC, see N Jansen & R Zimmermann ‘Contract Formation and Mistake in European contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules’ (2011) 21 *Oxford JLS* 625-662.

¹¹² Association Henri Capitant des Amis de la Culture Juridique Française and Société de Législation Comparée (n 110) 21-198. For an English version, see Fauvarque-Cosson and Mazeaud (n 110) 419-572; cf also *FunTexts* (n 6) 1335-1337.

¹¹³ von Bar & Clive (n 107) vol I, 37-63 (here, four principles are listed, ie freedom, security, justice, and efficiency).

VIII. პოლიტიკური პროცესი

DCFR კერძო სამართლის ცენტრალური სფეროების ყოვლის-მომცველი წესებია, მისი მიზანი იყო, იგი გამოეყენებინათ ტრანს-ნაციონალურ დავებთან დაკავშირებით. აგრეთვე, DCFR ევრო-კავშირის ქვეყნებისთვის მემკვიდრეობითი სამართლის სფეროში სრულყოფილი კოდექსის პროექტია ან ე.წ „ძირითადი კანონია“.¹¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ DCFR-ის პროექტზე მუშუშავე ჯგუფს ძირითადად სურდა, წარმოეჩინა ნაშრომის აკადემიური ბუნება,¹¹⁵ აღნიშნული პრაქტიკაში ვერ განხორციელდა და DCFR მომავალში მაინც პოლიტიკური პროცესის ნაწილი გახდა.¹¹⁶

ზემოხსენებული პროცესის ინიციატორი იყო ევროპარლამენტი, რომელმაც 1989 წელს მიიღო რეზოლუცია ევროპის სამოქალაქო კოდექსის მომზადებასთან დაკავშირებით.¹¹⁷ მას მოჰყვა 1994 წელს გამოცემული სხვა რეზოლუციებიც, რომლებიც ევრო-კავშირს სთხოვდა სამოქალაქო კოდექსის პროექტის მომზადებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, ევროპარლამენტმა მოუწოდა ევროკომისიას, „ლანდოს კომისიისათვის“ დაეჭირა მხარი.¹¹⁸ 1997 წლის თებერვალს, ევროკავშირის საბჭოს ჰოლანდიის ადმინისტრაციის ეგიდით, შევენინგენში გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით – „ევროპის სამოქალაქო კოდექსისაკენ“, აღნიშნულ

¹¹⁴ von Bar *Festschrift Henrich* (n 100) 3.

¹¹⁵ See H Beale 'European Contract Law: The Common Frame of Reference and Beyond' in C Twigg-Flesner (ed) *European Union Private Law* (2010) 116-130; H Schulte-Nölke 'Arbeiten an einem europäischen Vertragsrecht: Fakten und populäre Irrtümer' (2009) *Neue Juristische Wochenschrift* 2161-2167.

¹¹⁶ See Jansen & Zimmermann 'A European Civil Code in All But Name' (n 108)

¹¹⁷ Resolution of the European Parliament of 26 May 1989 on action to bring into line the private law of the Member States (OJ C 158/89, 400); see also 'Materialien' (1993) 1 *Zeitschrift für Europäisches Privatrecht* 613-615.

¹¹⁸ Resolution of the European Parliament of 6 May 1994 concerning the codification of private law and the Commission on European Contract Law (OJ C 205/94, 518); and see W Tilmann 'Zweiter Kodifikationsbeschluss des Europäischen Parlaments' (1995) 3 *Zeitschrift für Europäisches Privatrecht* 534-551.

კონფერენციაზე კოდექსის მომზადების იდეამ ფართო მხარდაჭერა მოიპოვა.¹¹⁹ აღნიშნულს მოჰყვა ევროსაბჭოს 1999 წლის ოქტომბრის ტამპიერის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა „წვერი სახელმწიფოების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლიან შესწავლას“, რათა მომავალში სამართალწარმოების შესაძლო გართულებები აერიდებინათ.¹²⁰ აღნიშნულის საპასუხოდ, ევროკომისიამ გამოსცა ბიულეტენი „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“. სხვა მოსაზრებებთან ერთად, ბიულეტენი შეიცავდა კოდიფიკაციის იდეასაც (იგი კოდიფიკაციას აღწერდა, როგორც „ევროკავშირის ახალ ყოვლისმომცველ კანონმდებლობას“).¹²¹ 2003 წელს გაცემულმა მეორე ბიულეტენმა სათაურით – „მეტად თანმიმდევრული ევროპის სახელშეკრულებო სამართალი: სამოქმედო გეგმა“ წარმოადგინა ახალი ტერმინი – „დეზულტების საერთო ჩარჩო“, რომელმაც კოდექსის შემუშავების იდეა მეორე პლანზე გადასწია.¹²² 2004 წელს გამოცემულ მესამე ბიულეტენში, ევროპული სახელშეკრულებო კოდექსის იდეა ექსპლიციტურად უარჰყვეს. აღნიშნულის სანაცვლოდ, ყურადღება გამახვილდა ევროპულ სამომხმარებლო სამართალში არსებული პრობლემების გამოსწორებაზე.¹²³ 2007 წლის თებერვალში გამოიცა დოკუმენტი, ენ. „მწვანე წიგნი სამომხმარებლო შესყიდვების გადასინჯვაზე“, სადაც გამოთქმული იყო მოსაზრება

¹¹⁹ See W Tilmann 'Towards a European Civil Code' (1997) 5 Zeitschrift für Europäisches Privatrecht 595-598; M Schmidt-Kessel 'European Civil Code' in MaxEuP (n 3) 553-556. Already in 1994 the first edition of a book entitled 'Towards a European Civil Code' had appeared, edited by five Dutch colleagues (AS Hartkamp, MW Hesselink, EH Hondius, CE du Perron, and JMB Vrancken); see today A Hartkamp, M Hesselink, E Hondius et al Towards a European Civil Code 4 ed (2011).

¹²⁰ Tampere European Council 15 and 16 October 1999, Presidency Conclusions, under [39].

¹²¹ COM(2001) 398 final; on which, see C von Bar 'Die Mitteilung der Europäischen Kommission zum Europäischen Vertragsrecht' (2001) 9 Zeitschrift für Europäisches Privatrecht 799-804.

¹²² COM(2003) 68 final.

¹²³ European Contract Law and the Revision of the Acquis: The Way Forward, COM(2004) 651 final.

არსებული მე-8 დირექტივის გადასინჯვის თაობაზე, აგრეთვე, აღნიშნულ დოკუმენტში საუბარი იყო ენ. „ჰორიზონტალური ინსტრუმენტის“ შემუშავებაზე, რომელიც განსაზღვრავდა სხვადასხვა სფეროში შექმნასთან დაკავშირებულ საერთო წესებს.¹²⁴ 2008 წლის ოქტომბრის მომხმარებელთა უფლებების დირექტივის პროექტი და საბოლოოდ, 2011 წლის ოქტომბერში ძალაში შესული მომხმარებელთა უფლებების დირექტივა, თავისი მასშტაბისა და ამბიციების თვალსაზრისითი გაცილებით მოკრძალებული აღმოჩნდა.¹²⁵ შესაბამისად, აღნიშნული დირექტივის დახმარებით შეუძლებელი აღმოჩნდა, გადასინჯულიყო სამომხმარებლო სამართლის წესები.¹²⁶

როგორც ევროკომისია მოელოდა, „საერთო ჩარჩო მითითებების“ შინაარსი და იურიდიული სტატუსი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბუნდოვანი რჩებოდა. კომისია მას დაჟინებით ახასიათებდა, როგორც ერთგვარ „ხელსაწყოების ნაკრებს“ სახელშეკრულებო სამართალში სამომავლო კანონმდებლობისათვის. ევროპის სამოქალაქო კოდექსის კვლევითი ჯგუფისთვის და Acquis-ის ჯგუფისთვის სოლიდური თანხების გამოყოფითა და CoPECL-ის კავშირის შექმნით,¹²⁷ ევროკომისიამ მიანიშნა, რომ იგი რაიმე ფორმით მაინც მიიღებდა DCFR-ს, ანუ კოდიფიკაციის პროექტის ტექსტს.¹²⁸ შესაბამისად, 2010 წლის ივლისში დაიბეჭდა ენ. „მწვანე წიგნი“ სახელწოდებით – „მომხმარებლებისა და ბიზნესისთვის ევროპის სახელშეკრულებო სამართალის პროგრესის პოლიტიკა“¹²⁹ და აღნიშნულით ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის სამომავლო ინსტრუმენტისთვის მიზნისა და ფორმის შესაქმნელად პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა.¹³⁰ კომისიის მიზნები

¹²⁴ COM(2006) 744 final.

¹²⁵ See above.

¹²⁶ See above.

¹²⁷ See above.

